ხაშურის მოამბე

№17 (299) 14 ივნისი, ორშაბათი, 2021 წელი

შიდა ქართლის რწმუნებულმა ხაშურის მუნიციპალიტეტში სამუშაო შეხვედრა გამართა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ვალერიან მჭედლიძე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტული საკითხები. ასევე, შეკრებილებმა სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოორდინირებული მუშაობის მნიშვნელობაზეც გაამახვილეს ყურადღება, ამავდროულად, ისაუბრეს ისეთ საკითხებზეც, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. რწმუნებულის თქმით, მსგავსი სახის შეხვედრა ერთჯერადი არ არის და სამომავლოდაც მოეწყობა.

ტატო გრიგალაშვილი მსოფლიოს ვიცე ჩემპიონია

ძიუდოში, უნგრეთის დედაქალაქში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ჩვენმა თანაქალაქელმა ტატო გრიგალაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. ტატო შესანიშნავ ფორმაშია და იმედია, ერთ თვეში, ოლიმპიური თამაშებიდანაც არ დაგვიბრუნდება ხელცარიელი.

ვულოცავთ შესანიშნავ მოჭიდავეს ამ წარმატებას და დიდი იმედით ვუცდით ოლიმპიადას.

- კოვიდ -19 -

მასიური ვაქცინაცია ჩვენს მუნიციპალიტეტში ივლისიდან იწყება

მას შემდეგ, რაც მსოფლიომ კოვიდ 19-ის პანდემიასთან ბრძოლის ახალი ინსტრუმენტი – ვაქცინა მოიპოვა, ბევრმა ქვეყანამ მოსახლეობის აცრა აქტიურად დაიწყო. საქართველოც ემზადება მასობრივი ვაქცინაციისთვის და საზოგადოებაშიც ბევრი კითხვა დაგროვდა: მთავარ კითხვას პასუხი მსოფლიომ დიდი ხანია გასცა: ვაქცინა ინფექციური დაავადების თავიდან აცილების ერთ- ერთი ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტია განსაკუთრებით მაშინ, როცა კოვიდ 19-ის წინააღმდეგ, ჯერჯერობით, ვაქცინა ყველაზე საიმედო იარაღია (სახლში გამოკეტვისა და საზოგადოებისგან სრული თვითიზოლაციის მერე). სწორედ აცრები დაგვეხმარება, დავუბრუნდეთ ცხოვრების ჩვეულ რიტმს, მოვეფეროთ შვილებს, შვილიშვილებს და ხელი ჩამოვართვათ მეგობრებსა და ახლობლებს, დავიბრუნოთ ჩვეული სოციალური თუ პროფესიული ცხოვრება და გავხსნათ- -აღვადგინოთ ეკონომიკა. ყოველივე ამას, სულ მცირე, მოზრდილი მოსახლეობის 60%-ის აცრა სჭირდება.

3 ივნისს, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ, ხაშურში, მუნიციპალიტეტის სოფლის ამბულატორიების ექიმებთან ტრენინგი ჩატარდა ქვეყანაში მოახლოებულ მასობრივ იმუნიზაციასთან დაკავშირებით. მონაწილეებს, მასობრივი იმუნიზაციის შესახებ, ინფორმაცია მიაწოდა და დეტალები გააცნო დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა თეონა ქაშიბაძემ.

-- ტრენინგის თემა იყო სოფლად მოსახლეობის ვაქცინაცია. როგორც მოგეხსენებათ, ივლისიდან ქვეყანაში მასიურად შემოდის თითქმის ყველა სახის ვაქცინა: „სინოფარმი“, „სინოვაკი“, „ასტრაზენეკა“, „ფაიზერი“ და უკვე დაიგეგმა, რომ დაიწყება ივლისიდან მოსახლეობის მასიური ვაქცინქცია. ამიტომ, გაფართოვდება არეალი და თითქმის ყველა ამბულატორიაში მოხდება ვაქცინაცია, - განაცხადა ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა დავით ჩიქოვანმა.

-- როგორ ხვდებიან სოფლის ექიმები მასობრივ ვაქცინაციას? აქვთ თუ არა შესაბამისი მზაობა პროცესის დაწყებისათვის?

-- ყველა ექიმი მზად არის იმუნიზაციისათვის. ფაქტობრივად, ისინი უკვე ჩართულნი არიან ვაქცინაციის პროცესში, როდესაც ახორციელებენ 0 - დან 15 - წლამდე სოფლად მცხოვრები ბავშვების გეგმიურ იმუნიზაციას. ასე, რომ იმუნიზაციის დეტალები ყველასათვის ცნობილია. აღნიშნულ ტრენინგზე ექიმები გაეცნენ მასობრივი ვაქცინაციისათვის განკუთვნილ პროტოკოლს, რეკომენდაციებს. არის შესაბამისი ბაზები, ამბულატორიები, სადაც მოხდება ვაქცინაციის Sემდგომ დაყოვნება, დაკვირვება.

როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორთან, დავით ჩიქოვანთან საუბრისას ირკვევა, ხაშურში, ამ დროისათვის, ვაქცინირებულ პირთა მაჩვენებელი საგრძნობლად გაზრდილია. ყოველდღიურად 40 - დან 60 პირამდე იცრება ძირიათადად სამი სახის ვაქცინით: „სინოვაკით“, „სინოფარმითა“ და „ასტრაზენეკათი“. ხაშურში „სინოვაკით“ ვაქინაციის პირველი ეტაპი 7 ივნისს დასრულდა. მიმდინარეობს „ასტრაზენეკათი“ ვაქციიაციის როგორც პირველი, ისე მეორე ეტაპი. სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ხაშურში დღემდე ვაქცინირებულია თითქმის 1000-მდე პირი, მეორადი ვაქცინაცია კი 200-მდე პირთან განხორციელდა.

-- მასიური ვაქცინაციისას რომელ ვაქცინებს შესთავაზებთ მოსახლეობას?

-- ალბათ ისევ ეს სამი გვექნება, „სინოვაკი“, „სინოფარმი“ და „ასტრაზენეკა“. რაც შეეხება „ფაიზერს', დაგეგმილია მილიონი დოზის საქართველოში შემოტანა, თუმცა „ფაიზერი“ როგორ გადანაწილდება ქვეყნის მასშტაბით, ეს ამ ეტაპზე უცნობია, ვაქცინის შენახვისათვის საჭირო შესაბამისი პირობებიდან გამომდინარე. შესაძლოა, ჩვენც შევძლოთ აღნიშნული ვაქცინის შესანახი მაცივრის ფლობა და შესაბამისად, მისით მოსახლეობის ვაქცინაცია.

- ბატონო დავით, რაც შეეხება ვაქცინაციის შემდგომ გართულებებს...

-- თითქმის სამი თვეა მიმდინარეობს ხაშურში ვაქცინაცია და ადგილზე არ ყოფილა არც ერთი ალერგიული რეაქცია. დაფიქსირდა კოვიდ აცრის თანმდევი გართულებების რამდენიმე შემთხვევა, თუმცა, ეს ორგანიზმის სხეულში უცხო ცილის შეყვანის შემდეგ, ბუნებრივი რეაქციაა და სერიოზული სახის გართულებები არ მოჰყოლია.

- კიდევ ერთხელ შევახსენოთ მოსახლეობას ვაქცინაციის მნიშვნელობის შესახებ...

-- დღეისათვის, თუ ჩვენ არ დავიცავით მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული რეკომენდაციები, ვერ დავამარცხებთ პანდემიას, ამისათვის მთავარი და მნიშვნელოვანია ვაქცინაცია. მეორე აუცილებელი პირობა პანდემიასთან ბრძოლისას არის დისტანციის დაცვა და პირბადის ტარება განსაკუთრებით დახურულ სივრცეებში. მით უფრო, რომ ხაშურშიც გვაქვს შემთხვევები პირველი აცრის შემდგომი დაინფიცირების, უფრო მეტად ახლო კონტაქტის შედეგად. ამიტომ ოქროს წესი -პირბადის ტარება და დისტანციის დაცვა, კვლავაც აქტუალურია. ვუსურვებ ჯანმრთელობას ჩვენი ქალაქის მოსახლეობას!

ხაშურში კოვიდ პანდემიის მესამე ტალღა დაღმავალია. მუნიციპალიტეტში ყოველდღიურად 7-8 შემთხვევა ფიქსირდება. ამ დროისათვის დაკეტილია ხაშურის #6 საბავშვო ბაღი. წერტილოვანი შეზღუდვებია ქალაქის რამდენიმე სკოლაში. გაზრდილია გამოჯანმრთელებულ პირთა მაჩვენებელიც. გასულ დღეს გამოჯანმრთელდა 15 პაციენტი. ინფიცირებულთა აქტიური შემთხვევები 75-ია, მათ შორის ბინაზე მკურნალობას გადის 53. დღემდე 2800 კოვიდ ინფიცირებული ჰყავს ხაშურის მუნიციპალიტეტს. ვირუსით გარდაცვლილია 47 ადამიანი.

თეა ახალკაცი

სკოლის მოსწავლეები გენდერული თანასწორობის საკითხებზე მსჯელობენ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი ნინო სუხიაშვილი წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლის მეათე კლასის მოსწავლეებს გენდერული თანასწორობის საკითხებზე ესაუბრა.

შეხვედრაზე იმსჯელეს საზოგადოების როლზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის საქმეში . განიხილეს გენდერული თანასწორობისა და სამართლიანობის ხელშემწყობი საკანონმდებლო მექანიზმები, ისაუბრეს სასამართლო პრეცენდენტებზე ცნობილი მოსამართლე რუთ ბეიდერ გინსბურგის სასამართლო პრაქტიკიდან.

შეხვედრა ოვიდ-19-თან დაკავშირებული რეგულაციების დაცვით, სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგის, ნინო კიკნაძის ინიციატივით ჩატარდა.

რუსაანთუბანში ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

პროექტის განხორციელების შედეგად სოფლად მცხოვრები მოქალაქეების გადაადგილების პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

გზის მოწყობის სამუშაოების ღირებულება 818 348 ლარია. პროექტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი

ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ჰედეფ ჯორჯია“ ასრულებს.

<u>- მუსიკალური ფესტივალი -</u>

ხაშურის სამუკისო სკოლის მოსწავლეთა წარმატება

ამ დღეებში, თბილისში, მუშტაიდის ბაღში, გაიმართა ფესტივალ “მომავლის ვარსკვლავების” გალა კონცერტი. სადაც მონაწილეობა მიიღეს ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა: საფორტეპიანო განყოფილება – სანდრო კაპანაძე მეხუთე კლასი, პედაგოგი: მაია მურადაშვილი. სანდრომ გაიმარჯვა ნომინაციაში: ჯაზური კომპოზიციის საუკეთესო ინტერპრეტაცია და დაჯილდოვდა მედლით და დიპლომით.

მეორე მონაწილე – თეკლა კაპანაძე მეოთხე კლასი, პედაგოგი: ფატი სადაღაშვილი, კონცერტმაისტერი - თამაზ აბრამიძე. მიენიჭა ლაურეატის წოდება.

სამუსიკო სკოლა ულოცავს ჩვენს პედაგოგებსა და მათ მოსწავლეებს ამ დიდ წარმატებას! ამ რთულ პერიოდში ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია.

ვეტერანებისათვის საქველმოქმედო სამედიცინო აქცია - ხაშურში

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ორგანიზებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის, აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ექიმებმა, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის

ფარგლებში, კარდიოლოგიური პროფილის უფასო გამოკვლევები (ექიმი-კარდიოლოგის კონსულტაცია, ელექტროკარდიოგრამა, გულის ექოსკოპია, ლაბორატორიული კვლევები) ჩაატარეს.

კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება უსასყიდლოდ გაეწია სამსახურის 91 ბენეფიციარს. განხორციელდა 400-მდე ვიზიტი. აღსანიშნავია, რომ საქველმოქმედო სამედიცინო აქციით, ისარგებლეს არა მხოლოდ ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებმა და მათმა ოჯახის წევრებმა, არამედ ადგილობრივმა მოსახლეობამაც.

აქციის მიმდინარეობას, ადგილზე დაესწრნენ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი, გენერალ-მაიორი კობა კობალაძე, დირექტორის მოადგილე, ჯანდრი უბირია, სამსახურის რეგიონული მართვის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს უფროსი ზვიად საბაშვილი, ხაშურის მერიის წარმომადგენლები.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და აკადემიკოს გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრს შორის, 2017 წლის აპრილში გაფორმდა და ყოველწლიურად განახლდება. მემორანდუმის ფარგლებში, ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის, საქველმოქმედო სამედიცინო აქციები, მთელი საქართველოს მასშტაბით, პერმანენტულად იმართებოდა. მემორანდუმის გაფორმებიდან დღეის ჩათვლით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ორგანიზებით, აკადემიკოს გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ექიმებმა 113-ე საქველმოქმედო სამედიცინო აქცია ჩაატარეს; უფასო სამედიცინო მომსახურება გაეწია 10 611 ბენეფიციარს.

მემორანდუმის ფარგლებში, ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის, საქველმოქმედო სამედიცინო აქციები კვლავ ჩატარდება, რომელთა შესახებ ინფორმაცია, ვეტერანებს, წინასწარ მიეწოდებათ.

დასუფთავდა სურამის საფეხბურთო სტადიონი

მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივითა და სასპორტო სკოლისა და ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ თანადგომით, ამ დღეებში, სურამის საფეხბურთო სტადიონი დასუფთავდა. უნდა აღინიშნოს, რომ სურამის სარაგბო გუნდის - „მგლების“ და მათი მწვრთნელის მონდომებით, ბოლო წლებში, სტადიონს მნიშვნელოვნად დაეტყო ხელი, თუმცა იგი მაინც მოითხოვდა ჩარევას და ასეც მოხდა. ერთობლივი ძალისხმევით მთლიანად გაიწმინდა ტრიბუნები და სტადიონის უშუალო შემოგარენი, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. საზაფხულო საკურორტო სეზონი, ფაქტობრივად, უკვე დაიწყო და აღნიშნული სტადიონი, როგორც ყოველთვის, ბევრ დამსვენებელს თუ სპორტსმენს უმასპინძლებს, რომლებიც აქტიურ დასვენებას ფიზიკურ ვარჯიშებს უთავსებენ. იმედია, დასუფთავებული და მოვლილი სტადიონი მათ რიცხვს კიდევ უფრო მკვეთრად გაზრდის.

5 ივნისს, გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში დასუფთავების აქცია მოეწყო

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გაიწმინდა ე.წ. ზემო სერის მიმდებარე ტერიტორია.

მსოფლიო პანდემიის გათვალისწინებით, კამპანია მცირე ჯგუფის მონაწილეობით ჩატარდა. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით გამართულ აქციაში, მერის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად ქურდაძე და მერიის თანამშრომლები იყვნენ ჩართულები.

გარემოს დაცვის დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს, ბუნების მიმართ, ადამიანთა პასუხისმგებლობის გაცნობიერებას და გარემოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია მოუწოდებს მოსახლეობას, გაუფრთხილდნენ გარემოს, რაც საკუთარი და მომავალი თაობების ჯანმრთელობის საწინდარია!

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ.#1 ,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16)

1898 წლის 19 ივლისს ნ. გალუსტოვის ხელმძღვანელობით,დაიდგა ა. ცაგარელის კომედია „ციმბირელი”, რომელშიც თბილისიდან მოწვეული მსახიობებიც მონაწილეობდნენ. „...წარმოდგენამ,საზოგადოდ,კარგად ჩაიარა და საზოგადოებაც ბლომად დაესწრო. მოთამაშეებმა მიუხედავად იმისა, რომ რეპეტიციები არ ჰქონდათ, თავიანთი როლები კარგად შეასრულეს. მეტადრე კარგად შეასრულა თავისი როლი ბ-ნმა გალუსტოვმა (მაზუჩიანი). მ. ხარისჭირაშვილმაც კარგად დაგვიხატა უსამართლოდ დატანჯული იოვანე (ციმბირელი) და საზოგადოებას სიბრალულის ცრემლები აღვრევინა. სამაგიეროდ საზოგადოება გააცინეს და გაამხიარულეს თავიანთი მოხდენილი თამაშით ბატონებმა გიორგაძემ (სტეფანე მაკრიჩი) და ხიმშიაშვილმა (კავკაზელი პეტუა). ქალებსაც არა უშავდათ რა, განსაკუთრებით კარგად ითამაშა ქალბატონმა შავლიევამ (მაშო).”

იმავე წლის 26 ივლისს, სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს ა. მოჩხუბარიძის (ყაზბეგი) დრამა „არსენა” და ვოდევილი „ცოლი ორი დღით”.

გაზეთ „ცნობის ფურცელის” საერთო შეფასება ასეთია: „ჩვენ ხაშურში ძალიან ხშირად ხდება ზაფხულობით წარმოდგენა, მაგრამ ეს წარმოდგენა მითაა საყურადღებო, რომ მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდები სცენის მოყვარულობით და მოყვასისადმი გულშემატკივრობით გატაცებულები. წარმოდგენა საქველმოქმედო აზრით იყო გამართული. მონაწილეობას იღებდნენ თითქმის სულ სტუდენტები და საპატიო ქალები, რის გამოც... ბევრი ხალხი მიიზიდა წარმოდგენამ”.

„არსენაში” გარსევანის როლი „დიდი ხელოვნებით შეასრულა” ალ.ნათაძემ, იორამს თამაშობდა ლორთქიფანიძე. „იორამი ეს დინჯი, დარბაისელი მოხუცი ქართლელი უნდა ყოფილიყო მიხვრა-მოხვრით, ლაპარაკით, კილოთი. ბ. ლორთქიფანიძემ უფრო იმერელი ტიპი დაგვიხატა” – წერს რეცენზენტი.

არსენას როლი „მშვენივრად შეასრულა” მაღალაშვილმა, თუმცა ცოტა დინჯად რომ ელაპარაკა და არ ეჩქარა უფრო სასურველად ჩაატარებდა თავის როლს”. რეცენზენტი მ. ლიხელი (მურვანიშვილი) იმაზეც მიუთითებს,რომ „არსენობას ძალიან შეუშალა ხელი მაღალაშვილის იმერულმა ჩაცმულობამ”.

არსენას ნათლიმამის – პეტრეს როლს ასრულებდა გაბაშვილი. „პეტრეს როლში, – წერს მ. ლიხელი (მურვანიშვილი), – თვალსაჩინო ის ადგილია, სადაც ის ფულებზე, სიმდიდრეზე და აფიცრობაზე ჰფიქრობს, რომელი დაპირებისამებრ მოელის მას არსენას მოკვლისათვის და ნათელ-მირონობა კი აყენებს, ეს ადგილია კვანძი, დედა – ძარღვი მთელ პეტრეს როლში და მაშასადამე ამ ადგილს შეუძლია მთელი ამაგი მოთამაშისა კიდეც გააფუჭოს და კიდეც გააკეთოს. გაბაშვილმა კი ეს ადგილი კარგად აასრულა. მხოლოდ ცოტა კიდეც რომ მიემატებინა გრძნობა ამ ადგილისათვის საუცხოო იქნებოდა. სამაგიეროდ არსენას მოკვლის წინ სულის ბრძოლა ხელოვნურად აასრულა”.

მოურავის როლს ხიდირბეგიშვილი თამაშობდა. „ზაქარია მოურავის ამსრულებელზე ის უნდა ვთქვათ, რომ მიხვრა-მოხვრა ნამდვილი გაიძვერა მოურავისა, გამოქნილი გლეხისა ჰქონდა. ზაქარიას როლის ამსრულებელი... კი ყველასთან ერთნაირად იქცეოდა – არსენასთანაც და გარსევანთანაც. ჩვენის ფიქრით, ზაქროს ბუნება ორად იყოფა: გარსევანს რომ ფეხ-ქვეშ ეგება, როგორც უფროსს, არსენას უნდა მედიდურად, მკვახედ, ამაყად დახვედროდა”.

„დანარჩენებმაც საზოგადოდ კარგად აასრულეს თავიანთი როლები, ესევე უნდა ვსთქვათ ქალებზედაც” – აღნიშნავს მ. ლიხელი.ვოდევილი „ცოლი ორი დღით” „...ძალიან კარგად ჩაატარეს, საუცხოოდ იყო ბ. გაბაშვილი მარდაშვილის როლში, სიანჩხლით, აღელვებით, ბრაზიანობით. აგრეთვე მურვანიშვილი აკაკიევიჩის როლში, რომელმაც ძალიან კომიკურად შეასრულა თავის როლი. ბ.მაღალაშვილსაც პეტროვიჩის როლში ხელოვნება და საქმის ცოდნა ეტყობოდა”.

5 აგვისტოს,ნ. გალუსტოვისა და ი. მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით,სცენისმოყვარეებმა გამართეს წარმოდგენა. ნაჩვენები იქნა სამი ვოდევილი: ვ. გუნიას „დამბაჩა და რევოლვერი”, „არც აქეთ, არც იქით” და ა. ცაგარელის „ოინბაზა”.

„დამბაჩა და რევოლვერში” მშვენივრად ითამაშეს ბატონებმა გალუსტოვმა (ბლითიძე) და ი. მჭედლიშვილმა (ყბედაძე). მეორე ვოდევილში („არც აქეთ, არც იქით”), „...სადაც ტარასი მშურაძე უჩივია ქართველი აქტიორის ბედს და შიმშილს აცხადებს, ეს ადგილი ბ. გალუსტოვმა მშვენივრად დაგვიხატა,რამაც მაყურებელ საზოგადოებაში სიბრალულის ხმა გამოიწვია: „ვაი საცოდავი, ვაი საცოდავი”-ო. იორდანეს როლს ასრულებდა ბ. ბიბილაშვილი და კარგი იყო. ბატონ მ. წერეთელსაც არა უშავდა რა ჯორინაშვილის როლში”. ვოდევილი „ოინბაზი” ძალიან კარგად ჩაატარეს, ჭინჭარაძის როლი ნიჭიერად შეასრულა ბატონმა ი. მჭედლიშვილმა, ტერ-ოპოპიანცის როლში ბატონი გალუსტოვი მშვენიერი იყო. სონას როლს თამაშობდა ქალბატონი გალუსტოვისა და კარგიც იყო. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო... ბატონები გალუსტოვი და მჭედლიშვილი ამ თვეში კიდევ გამართავენ რამდენიმე წარმოდგენას”.

9 აგვისტოს, ნ. გალუსტოვმა და ი. მჭედლიშვილმა ადგილობრივი სცენისმოყვარეების დახმარებით კვლავ გამართეს წარმოდგენა. ამჯერად მაყურებელს უჩვენეს ზ. ანტონოვის ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „ქოროღლი”.„წარმოდგენამ, საზოგადოდ, კარგად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო და ძალიან ნასიამოვნები დარჩა. წარმოდგენის გამშვენებას ხელს უწყობდა საგანგებოდ შეკერილი ოსმალური ტანისამოსი” – წერს გაზეთი „ცნობის ფურცელი”.

წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ქალბატონები გალუსტოვისა და რჩეულოვისა, ბატონები ნ. გალუსტოვი, ი. მჭედლიშვილი, გელიკურაშვილი, ხრეითელი, მებურიშვილი, სარალიძე და სხვა.

„ხელოვნურად შეასრულეს თავიანთი როლები ბატონებმა გალუსტოვმა (ჯაფარ ფაშა და მოლა) და მჭედლიშვილმა (ქოროღლი), აგრეთვე გვარიანად ითამაშეს ბატონებმა გელიკურაშვილმა (დაუმორჩილებელი) და ხრეითელმა (სულეიმანი). ქალებმაც სწორედ ნიჭიერად ითამაშეს. გულნარას როლს ასრულებდა ქ. გალუსტოვისა და ქიჩქინესას ქ. რჩეულოვისა. დანარჩენებსაც არა უშავდათ-რა”.

16 აგვისტოს, ნ. გალუსტოვის საბენეფისოთ გათვალისწინებული იყო ა. ცაგარელის „ხანუმას” წარმოდგენა.

1899 წლის 29 მაისს, სცენისმოყვარეებმა სვეტიცხოვლის ტაძრის ფონდის სასარგებლოდ წარმოადგინეს გ.ერისთავის „ძუნწი” და ვ.გუნიას „ხორვალობა”.

„წარმოდგენამ – წერდა გაზეთ „ივერიაში” სტ. ნოზაძე,– მწყობრად და უნაკლოდ ჩაიარა. საზოგადოება ბლომად დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა”.

ადგილობრივ სცენისმოყვარეებთან ერთად, წარმოდგენაში მონაწილეობდნენ თბილისელი მსახიობები დ. რჩეულოვისა, ვაშაკიძისა, გელიკურაშვილი და ჯაფარიძე.

იგივე წარმოდგენაზე ნ. სიხარულიძე „ცნობის ფურცელში” წერდა, რომ იგი იოსებ კვალიევის თაოსნობით გამართულა. „პირველმა პიესამ მშვენიერად ჩაიარა, მხოლოთ მეორეს კი ეტყობოდა ცოტა სისუსტე”.296

27 ივლისს, ვ. აბაშიძის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი იქნა მისი ოთხმოქმედებიანი კომედია „ეხლანდელი სიყვარული”. „წარმოდგენას დიდძალი ხალხი დასწრებია და შემოსავალიც კარგი ყოფილა” – აღნიშნავდა გაზეთი „ცნობის ფურცელი”.

XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს იმდროინდელი ქართული პერიოდული პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხაშურის სცენის მდგომარეობას და არაერთხელ მიუთითებდა მის სივიწროვეზე, რაც ბევრ უხერხულობას ქმნიდა წარმოდგენების გამართვისას. იგი ვერ აკმაყოფილებდა იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რასაც საზოგადოება უყენებდა თეატრალურ ცხოვრებას. ამასთან დაკავშირებით 1899 წლის 14 მაისს გაზეთ „ცნობის ფურცელში” ნ. სიხარულიძე წერდა: „ამ სამი-ოთხი წლის წინათ, ხაშურში ბ. მათიაშვილის ბაღში გამართულ იქნა სცენა, რამაც ყველანი ძლიერ გაგვახარა, სცენის გამართვა იკისრა და შეასრულა კიდეც ნაკისრი საქმე პატივცემულმა ბ-ნმა ფანცულაიამ, ხოლო შარშანს აქეთ სცენამ იწყო ნგრევა, დეკორაციები მოშორდნენ ერთმანეთს, სახურავი დალპა, წვიმამ იწყო სვლა და სულ ჩამორეცხა კედლები, სცენა აღარაფერს არა ჰგავს და ამას ყურადღებას არავინ არ აქცევს”.

იგივე გაზეთი, 5 ივნისს, წერდა, რომ „...სცენა აგერ საცაა – ჩაინგრევა”. 23 მაისს, წარმოდგენის დროს „...კბილით ეჭირათ სული, სცენისმოყვარეებს”, რომ რაიმე გაუთვალისწინებელი ამბავი არ მომხდარიყო.

1898 წლის 15 აგვისტოსაც გაზეთი „ცნობის ფურცელი” ზ. ანტონოვის „ქოროღლის” წარმოდგენის შესახებ როცა წერდა, შემდეგს აღნიშნავდა: „...როგორც ბევრჯერ შეგვინიშნავს ხოლმე, ახლაც მოთამაშეებს ხელს უშლიდა სცენის სივიწროვე და მოუწყობლობა”.

ეს, მითუმეტეს, რომ „აქ ყოველ ზაფხულობით თითქმის მუდამ შაბათ-კვირას იმართებოდა წარმოდგენები და ერთხელაც არ მოიფიქრეს, რომ სცენის სასარგებლოთაც გავმართოთ წარმოდგენაო და შევაკეთოთო. სწორედ კარგი იქნება, რომ აქაური სცენისმოყვარეები გამოიღვიძებდნენ და მოიფიქრებდნენ რამე წარმოდგენის გამართვას ერთ ხუთჯერ მაინც, ამ სცენის სასარგებლოთ... რომ სამუდამოდ არ მოისპოს ეს ერთადერთი ჩვენი განმავითარებელი და გასართობი სცენა და ქართული წარმოდგენები. იმედია, ბ-ნი ი. ფანცულაია მოწყალე თვალით გადმოგვხედავს და შეაკეთებინებს სცენას”.

ამის მიზეზით, ჟურნალ „კვალის” ინფორმაციით, მთელი 1900 წლის მანძილზე ხაშურში რაიმე თეატრალური წარმოდგენა არ გამართულა. „ჩვენი დაბა, – წერდა ჟურნალში კორესპონდენციის ავტორი, – აგერ ერთ წელზე მეტია, რაც მოკლებული იყო ქართულ წარმოდგენებს სცენის უქონლობის გამო, თუმცა რკინის გზის კლუბში მოიპოვება სცენა, მაგრამ იმას ხომ ხალხისთვის არ სცალია”.

წარმოდგენების გამართვა მხოლოდ 1901 წლიდან გამხდარა შესაძლებელი. ამჯერად ხაშურის თეატრალურ ცხოვრებას სათავეში ჩაუდგა ინჟინერი კონსტანტინე ძნელაძე, რომელმაც დიდი ამაგი დასდო არა მარტო თეატრს, არამედ საერთოდ კულტურას და სახალხო განათლებას ხაშურში. მან თავის საკუთარ შენობაში მოაწყო სცენა, რამაც ხაშურელ სცენისმოყვარეებს კვლავ მისცა შესაძლებლობა, სისტემატიური ხასიათი მიეცათ წარმოდგენებისათვის.

14 ივლისს წარმოდგენა საქველმოქმედო ხასიათისა იყო და ხარკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა დახმარებას ითვალისწინებდა მიზნად. სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს რუსულად „теша в доме – все вверх дноме”, ქართულად „ცოლი ქმრის წინააღმდეგ” და „ადვოკატი მელაძე”. წაკითხული იქნა რუსულად „შეშლილის წერილები”. წარმოდგენას კარგად ჩაუვლია და ხალხიც საკმაოდ დასწრებია. „რუსულ ვოდევილში კარგად ჩაატარეს თავიანთი როლები ქ. კვალიევისამ და ბ. მაჭარაშვილმა, ქართულში ქ. პავლოვემა, მურმანიშვილმა, მაჭარაშვილმა და ნოზაძემ”.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ხაშურში თეატრალური ცხოვრების შესახებ საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა ცნობილმა თეატრალმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დუდე ძნელაძემ, რომელიც შემდეგ, 10-იან წლებში, თავადაც გამოდიოდა ხაშურის სცენაზე. იგი ერთგვარი იუმორითაც იხსენებს თავის პირველ თეატრალურ შთაბეჭდილებებს, იმ კურიოზებს, რაც მასთან იყო დაკავშირებული.

„ხაშურის დრამატული წრის წარმოდგენები,– წერს დ. ძნელაძე,– ჯერ კიდევ ჩემი ბავშვობიდან – მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან (1898-99 წწ) მახსოვს. პირველი წარმოდგენა ვნახე ტელიაფუსის ბაღის ეგრეთწოდებულ „როტონდაში”. ეს იყო პატარა, მაგრამ მოხდენილი სათეატრო ხის შენობა თავის სცენითა და მაყურებელთა დარბაზით. მხოლოდ ამ დარბაზს გვერდების კედლები მთლიანად არ ქონდა ამოშენებული, ისინი წარმოადგენდნენ არქიტექტურულად ლამაზად გაფორმებულ მაღალ ხარიხებს, საიდანაც თავისუფლად შეიძლებოდა წარმოდგენების ყურება. ჰოდა, აი, სწორედ აქედან, ხეების ტოტებზე შემომსხდარნი ვუცქერდით ბავშვების უმრავლესობა წარმოდგენებს.

ჩვენ ბავშვები, თითქმის ყველა ხომ უფასო მაყურებლები ვიყავით, ამიტომ ბაღში საკუთარი, საგანგებო უფასო შემოსასვლელი გვქონდა. ტელიაფუსს, ხაშურში გადმოხვეწილ გერმანელს, თავისი ბაღი გაეშენებინა პატარა მდინარის „სურამულა”-ს /ფრონეს/ ნაპირზე, ისე რომ ბაღი მდინარის ნაპირიდან შემოღობვას არ საჭიროებდა. მდინარე ბუნებრივ ზღუდეს წარმოადგენდა. ჩვენთვის, ბავშვებისათვის, ბაღის სწორედ ეს მხარე იყო ადვილი მისადგომი. წარმოდგენის საღამოს, შებინდდებოდა თუ არა, მივადგებოდით მდინარის ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ ფონს, გავიხდიდით ფეხსაცმელებს და ზედმეტ ტანსაცმელებს, ამოვიჩრიდით მათ იღლიაში და დიდის ვაი-ვაგლახით გადავიდოდით მდინარის მეორე ნაპირზე ბაღში, აქ უკვე გამოვეწყობოდით ჩვენს „ფრაკ-სმოკინგებში” და მივადგებოდით თეატრს. ერთი-ორჯერ ასეთი შემთხვევაც იყო, სწორედ იმ დროს, როცა უკვე გამზადებული ვიყავით „ფრაკ-სმოკინგებში”, გამოწყობილი წამოგვისწრო ბაღის დარაჯმა და მას ტყვედ რომ არ ჩავცვენოდით ხელში, ეს სათეატროდ გამოკაზმული „კავალრები”, გადავცვივდით მდინარეში და ერთის ჟივილ-ხივილით და ღრიანცელით მივაღწიეთ სამშვიდობო ნაპირს. ისე – კი, დანარჩენ შემთხვევებში, წარმოდგენების მუდმივი მაცქერალნი ვიყავით. მე განგებ ვიხმარე სიტყვა „მაცქერალნი”, რადგან ჩვენ – ბავშვები მართლაც რომ წარმოდგენას კი არ ვისმენდით, არამედ მას ვუცქერდით, როგორც სანახაობას. კარგად მახსოვს მაგალითად ხმლებისა და ხანჯლების ტრიალი, ფანჯარაში შემოძრომა, ერთი უცნაური კაცის კარადაში დამალვა. მახსოვს ერთი ასეთი კურიოზი: სცენაზე შეიქმნა ხანჯლებითა და ხმლებით ორთა ბრძოლა, შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთმა, ვითომდა, – მეორე მოკლა, ამ დროს იქვე, ჩვენს ახლო, ერთმა ბავშვმა, რომელიც თავის დედის გვერდით იჯდა და რომელიც საპატიო მაყურებელი იყო და არა ჩვენისთანა „ზაიჩიკი”, ვინაიდან იმ საღამოს იმის მამა წარმოდგენაში მონაწილეობდა, საშინელი ღრიალი შექმნა „ვაი–მე, დედა!... მამა მოკლეს”-ო. დარბაზში ატყდა საშინელი ხარხარი და ღრიანცელი. იმ საღამოს თეატრში, მე და ჩემს ამხანაგებს, ყველაზე მეტად ეს „სცენა” მოგვეწონა. ის ბავშვი – კი ჩემი კარის მეზობელი და ჩემი ამხანაგი აღმოჩნდა, რომელსაც მეტსახელად „კურკას” ეძახდნენ. ჩვენმა სიცილმა კი საღამოს კულმინაციას მიაღწია, მითუმეტეს როცა ერთი ვიღაც უცნაური კაცი ღიდის დავი-დარაბით შეაძვრინეს კარადაში.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- XXI საუკუნის თაობა -

მარიამ ბიბილური: ვარ ბუსტად იქ, სადაც მინდოდა, რომ ვყოფილიყავი და თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ!

მარიამ ბიბილური, 20 წლის, დაიბადა ქალაქ ხაშურში, 2000 წელს, დაამთავრა ქ. ხაშურის დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა - პანსიონი, სწავლა გააგრძელა ქ. თბილისში, თავისუფალ უნივერსისტეტში, სამართლის სკოლაში. ერთიანი ეროვნული გამოცდების ქულებით რეიტინგულად პირველ ადგილზე მყოფს, თავისუფალმა უნივერსიტეტმა მისი პირველი სასწავლო წელი სრულად დააფინანსა. შემდგომ წლებში კი 100 პროცენტიანი დაფინანსებით აგრძელებს უმაღლესი განათლების მიღებას. ამჟამად არის სამართლის სკოლის მესამე კურსის სტუდენტი.

სულ ახლახანს, იუსტიციის მინისტრმა სტუდენტური შეჯიბრის გამარჯვებულებს უმასპინძლა. რატი ბრეგაძემ მომავალ იურისტებს სასწავლო სახელმძღვანელოები და სიმბოლური საჩუქრები გადასცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა. იუსტიციის მინისტრმა ევროინტეგრაციის პროცესის მნიშვნელობაზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ მომავალი იურისტები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების საქმეში.

სტუდენტური შეჯიბრის გამარჯვებულთა შორისაა **ხაშურელი მარიამ ბიბილური...** მან ევროკავშირის სამართალში იმიტირებული სასამართლო პროცესების ინდივიდუალურად საუკეთესო გამომსვლელის ტიტული მოიპოვა.

ევროკავშირის სამართალში იმიტირებული სასამართლო პროცესები, იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის ინიციატივით და იუსტიციის სასწავლო ცენტრის ხელშეწყობით, ყოველწლიურად იმართება. მისი მიზანი ევროინტეგრაციის პროცესისა და ევროკავშირის კანონმდებლობისადმი ინტერესის გაზრდა და იმ საქმიანობის პოპულარიზაციაა, რასაც იუსტიციის სამინისტრო ეწევა ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში. 2021 წელს, ევროკავშირის სამართალში იმიტირებული სასამართლო პროცესები ევროპის კვირეულის ფარგლებში გაიმართა.

საუკეთესო გამომსვლელის ტიტულის მფლობელი ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა და დეტალურად გვიამბო სტუდენტური შეჯიბრის შესახებ. მისი შეჯიბრში მონაწილეობა, დიდწილად, იმანაც განაპირობა, რომ საკონკურსო თემატიკის სფერო საქართველოში, ფიქრობს, იმდენად განვითარებული და პოპულარული არ არის, როგორც უნდა იყოს.

-- კონკურსი იყო საქართველოს მასშტაბით, მონაწილე შეიძლება ყოფილიყო ბაკალავრიატის ნებისმიერი სტუდენტი. პირველ ეტაპზე, წერილობითი დოკუმენტებით 53 გუნდიდან 8 გუნდი შეარჩიეს, რომელთა მონაწილეობითაც ჩატარდა მეოთხედფინალი, ნახევარფინალი და ფინალი. მოხდა ისე, რომ მერგო პრიზი ინდივიდუალური საუკეთესო მომხსენებლის სტატუსში. ინდივიდუალურად გამოსვლისას კონკურსანტებს გვაფასებდა სამი მოსამართლე. ფასდებოდა მსჯელობის უნარი, თუ რამდენად გვქონდა მოძიებული საერთაშორისო კანონმდებლობა. ასევე, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები და ასე შემდეგ. სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე, შეფასების შედეგად, უმაღლესი ქულები დავაგროვე და, შესაბამისად, საუკეთესო მომხსენებლის სტატუსიც მოვიპოვე. კონკურსი ქართულენოვანი იყო, მათ შორის წარდგენაც, საუბარიც. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ქართული არც ერთი დოკუმენტი არ იყო რელევანტური, რადგან არ არის ქართულ ენაზე თარგმნილი შესაბამისი ინგლისურენოვანი კანონმდებლობა.

-- **მარიამ, როგორ მოხვდი შეჯიბრში?**

-- 2 თვის უკან, მომივიდა შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რადგან წარსულშიც მქონდა იუსტიციის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობის გამოცდილება, გავაგზავნე წერილობითი დოკუმენტი, რასაც წინ უძღოდა კონკურსის ორგანიზატორების მიერ გამართული ლექციები, რომ უფრო კარგად გავთვითცნობიერებულიყავით შეჯიბრის არსში, დაგვეხმარნენ ინფორმაციის მოძიებაში და სადღაც, 3 კვირის უკან ჩატარდა ნახევარფინალი და ფინალი.

კაზუსი, რომელიც მარიამს ერგო შეჯიბრისას: ორმა ორგანიზაციამ დაარეგისტრირა თავისი სასაქონლო ნიშანი, რომელიც ძალიან გავდა ერთმანეთს. განსხვავება იყო მხოლოდ და მხოლოდ სახელწოდების ერთ ასოში.

-- უნდა გვემსჯელა რამდენად იყო აღრევის ალბათობა, რამდენად შეიძლებოდა შესულიყო მომხმარებელი შეცდომაში და ა. შ. შეიძლება ერთი შეხედვით ძალიან მარტივი ჩანდეს, მაგრამ, ევროკავშირის კანონმდებლობით, ძალიან ბევრი კრიტერიუმია თუ როდის შეიძლება იყოს სასაქონლო ნიშანი არაგანმასხვავებელ უნარიანი. დაცვის მხარეს უნდა ემტკიცებინა, რომ არ იყო დიდად მსგავსება და მომხმარებელი არ შევიდოდა შეცდომაში და მოპასუხე მხარეს უნდა ემტკიცებინა პირიქით. მთავარი სირთულეც იმაში მდგომარეობდა, რომ არ იცი რომელი მხარე შეგხვდება და ორივე პოზიციისთვის უნდა იყო მზად.

-- **თუ გეგმავ კიდევ მსგავს კონკურსებში მონაწილეობას მარიამ?**

-- პირველ რიგში აღვნიშნავ იმას, რომ იუსტიციის მინისტრთან შეხვედრისას, თავად მინისტრმაც ფართოდ ისაუბრა ევროკავშირთან ჰარმონიზაციაზე და მის მნიშვნელობაზე და მოგვიწოდა, რომ უფრო ღრმად შევისწავლოთ ეს საკითხი და შემდგომ კონკურსებშიც მივიღოთ მონაწილეობა და ვფიქრობ, რომ აუცილებლად შევეხები კიდევ ამ თემას როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში, ისე მის მიღმაც და ვფიქრობ, მხოლოდ და მხოლოდ ამით არ დასრულდება ჩემი თანამშრომლობა ამ ორგანიზაციასთან. თუმცა, ამ ეტაპზე, კონკრეტული გეგმა არ მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა, ინტელექტუალურ საკუთრებასთან მიმართებით, უფრო სიღრმისეულად შესწავლას საჭიროებს და მინდა, ამ მხივ მეტი ინფორმაცია მოვიძიო...

-- **შენს სხვა კონკურსებში მონაწილეობის გამოცდილებაზეც მოგვიყევი...**

-- ჩემთვის კონკურსებში მონაწილეობა აქტუალური გახდა მესამე კურსიდან, რადგან პირველ კურსზე თავისუფალ უნივერსიტეტში, როგრც მოგეხსენებათ, ზოგადი საგნების შესწავლაა, მეორე კურსზე უკვე სამართლის ძირითადი საგნები შევისწავლე და მესამე კურსიდან უკვე დავიწყე პრაქტიკული საგნების დამუშავებაც, თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული უნარების გამომუშავება... პირველი, ყველაზე მნიშნველოვანი, შეჯიბრი და წარმატება ჩემთვის იყო „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ გამოცხადებული საკონსტიტუციო ოლიმპიადა საქართველოს მასშტაბით ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუტენტებისთვის, კონკურსში გავიმარჯვე და პრიზად მერგო, ჩემს თანაკურსელთან ერთად, „საიაში“ სტაჟიორობა. ეს იყო, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება თავისუფალ უნივერსიტეტში სწავლის დაწყების შემდეგ.

მარიამ ბიბილური, ამ ეტაპზე, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაში გადის სტაჟირებას. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა“ და „ქართულ დემოკრატიულ ინიციატივაში“. ამ მიმართულებით განიხილავს სამართლის უზენაესობის პრობლემებს სასამართლო სისტემაში, სხვადასხვა კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმებს და ა. შ. სტაჟირებას დაასრულებს და ფიქრობს, რომ საკუთარ ძალებს მოსინჯავს სამოქალაქო სამართლის მიმართულებით, რათა საბოლოოდ დარწმუნდეს მომავალში რა მიმართულებით განაგრძობს პროფესიულ საქმიანობას. ამბობს, რომ თავისუფალი დრო თითქმის არ აქვს, მაგრამ მისთვის მეგობრებთან ურთიერთობით განტვირთვა შეუცვლელია.

-- სიმართლე გითხრათ, ამ ბოლო დროს ჩემმა უნივერსიტეტმა იმდენად წაიღო ჩემი ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი საათები, რომ ასე კონკრეტულად თავისუფალ დროს როგორ ვატარებ, ვეღარც ვიხსენებ, მაგრამ, პრველ რიგში, არის ალბათ მეგობრებთან ერთად ინტეგრაცია, განტვირთვა. ასევე, ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი არის ცეკვა და როცა კი თავისუფალი დრო მაქვს, ჩემთვის რაღაცას ვცეკვავ... ახლაც, თქვენთან მოსვლამდე, ჩემს მშობლიურ ცეკვის სტუდიას ავუარე და ვცდილობ, გავიხსენო ხოლმე ცეკვა, რომელსაც ჩემი ცხობრების ათი წელი დავუკავშირე.

-- **მინდა, გკითხო: როგორ მოხვედი აქამდე, რას ურჩევდი შენს თანატოლებს, რა არის შენეული ხედვა წარმატების მისაღწევად?**

-- ჩემი აზრით, გჭირდება კონკრეტული უნარ-ჩვევები, პასუხისმგებლობის გრძნობა, მაგრამ მაინც მთავარი არის ის საძირკველი და საფუძველი, რომელსაც გაძლევს სკოლა და ძალიან დიდი მადლობა ჩემს სკოლას ამისათვის. ვფიქრობ, რომ რომ არა სკოლაში გატარებული ის 12 წელი, დღეს მე ასეთ წარმატებას ვერ მივაღწევდი, გულწრფელად ვამბობ. ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი არის სწორი არჩევანი, ჩემი უნივერსისტეტი, რადგან თავისუფალი უნივერსიტეტი მაძლევს ისეთ გამოცდილებას, ისეთ ცოდნას, რომელსაც ვერცერთი უნივერსიტეტი ვერ მომცემდა და რომ არა ის სირთულეები, რაც უნივერსიტეტმა შემახვედრა, ალბათ ეს ყველაფერი ასე არ გამიადვილდებოდა!

წარმატებას ვუსურვებთ მარიამს!

თეა ახალკაცი

ვლადიმერ ხაჩიძე: ჯანზე ვარ, მუშაობა არ მეზარება და არც პენსიაზე ვაპირებ გასვლას...

ვლადიმერ (ვოვა) ხაჩიძე 70 წლისა გახდა. დღეს ის "რუსთავს" წვრთნის, მანამდე კი არაერთ ქართულ გუნდში უმუშავია. მწვრთნელი - თავისებური, ექსკლუზიური მიდგომებით, ვისაც საკუთარი ნიშა უჭირავს ქართულ საკლუბო ფეხბურთში და გასახსენებელიც ბევრი აქვს. თუნდაც ის რად ღირს, რომ პირველი ეროვნული ჩემპიონატიდანაა ჩაბმული სამწვრთნელო ფერხულში - მაშინ ხაჩიძე მშობლიური ქალაქის კლუბს, უმაღლესლიგელ ხაშურის "ივერიას" წვრთნიდა...

..."რუსთავს" რაც შეეხება, პრაქტიკულად, ყველაფრის დაწყება ნულიდან მოგვიხდა. საუკეთესო რუსთაველი ფეხბურთელები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კლუბებში ასპარეზობენ. ახალგაზრდა ბიჭები არიან, ვწვალობთ და ვცდილობთ ყველანაირად, რომ ამ შრომას შედეგი მოჰყვეს. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება...

...პირველ ეროვნულ ჩემპიონატში ხაშურის "ივერიას" ვწვრთნიდი. ის დრო დაუვიწყარია ჩემთვის. მახსოვს, ხაშურის სტადიონი რომ გაიხსნა, იმდენი ხალხი იყო, მე, მთავარი მწვრთნელი, გულშემატკივრებს შორის ვიდექი და ისე ვხელმძღვანელობდი გუნდს... ნემსი არ ჩავარდებოდა ტრიბუნებზე... მაგარი ჩემპიონატი გვქონდა, ჯერ არავინ იყო წასული საზღვარგარეთ და ყველა ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელი საქართველოს ჩემპიონატში თამაშობდა, მერე მაგარი ლეგიონერები ჩამოვიდნენ - ლიტველებიც, სხვებიც... სასწაულები ხდებოდა სოხუმში, გალში, ოჩამჩირეში, ლანჩხუთში...

...მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. სად იყო ჩემი პიკი? ჩემპიონობა - "ვიტ ჯორჯიაში", ბორჯომშიც კარგი გუნდი მყავდა... მაგრამ ძირითადად სულ "მეხანძრე" ვიყავი. სადაც გუნდი იყო გადასარჩენი, იქ მეძახდნენ. მეც არსად და არასოდეს მითაკილია მუშაობა. მივდიოდი იქ, სადაც საჭირო ვიყავი...

...რაც შეეხება ჩემს განსაკუთრებულ მეთოდებს... თავიდან ჩვენ საზღვარგარეთ ვერ გავდიოდით. ყველა ლიცენზია საქართველოში ავიღე და პროლიცენზიაზე წავედი უკრაინაში. იქ ბევრი რამ ვისწავლე. დღეს სულ ბურთთანაა მომზადება. ამავე დროს, ფეხბურთელი კარგად უნდა იყოს მომზადებული ფიზიკურად. ადრე რომ ამდენი მცოდნოდა, ალბათ სულ ჩემპიონი მეყოლებოდა გუნდი.

...აღარ მახსოვს ზუსტად, 1990 წელი იყო თუ 1991... ანატოლი მილჩენკოს უკრაინულ ფეხბურთში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. მე ხაშურელი ვარ, ის ბორჯომელი იყო და ბავშვობიდან ვიცნობდით ერთმანეთს. მილჩენკომ ერთკვირიანი სტაჟირება გამიკეთა ვალერი ლობანოვსკისთან. ლობანოვსკი პრაქტიკულად არ გადიოდა ვარჯიშებზე, ასისტენტებს უწერდა ქაღალდზე და ისინი ასრულებდნენ მინდორზე. მისი ყველა ფეხბურთელი ძალიან ძლიერი იყო ფიზიკურად, მაგრად დარბოდნენ...

...გამორჩეული მიღწევები? "ვიტ ჯორჯიასთან" ერთად ჩემპიონობაზე უკვე ვთქვი, 6 წელი პირველი ლიგიდან უმაღლეს ლიგაში გადამყავდა გუნდი. ისე მოხდა, რომ ბოლომდე დალაგებულ გუნდში არასოდეს მიმუშავია...

...ჩემთვის გამორჩეული მწვრთნელები? ხაბაროვსკის "სკა ენერგიაში" ნიკოლაევთან ვიმუშავე, ძალიან მცოდნე მწვრთნელი იყო. ჩვენებიდან დავასახელებ ნოდარ ახალკაცს და გიგა ნორაკიძეს...

...ჯანზე ვარ, მუშაობა არ მეზარება და არც პენსიაზე ვაპირებ გასვლას. ბებიაჩემი 117 წლისა გარდაიცვალა. ამას რომ შემახსენებენ ხოლმე, სიცილით ვამბობ - 30 წელი კიდევ რა უყურებს ფეხბურთს-მეთქი?! ას წლამდე უნდა იმუშაოო... ხუმრობა იქით იყოს და, ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა და ჩემს კარიერას რომ გადავხედავ, არც უკმაყოფილების საფუძველი მაქვს, ერთი ეგ არის, რომ დრო ძალიან სწრაფად გარბის"...

„ხაშურის მოამბის" რედაქცია, თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად, ულოცავს ბატონ ვოვას იუბილეს და ამ შესანიშნავ პიროვნებას და პროფესიონალ მწვრთნელს ჯანმრთელობას და წარმატებებს უსურვებს.

დათო ტურაშვილის და გიორგი ლობჟანიძის ახალი წიგნების პრეზენტაცია - ხაშურში

6 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში, მწერლის, გამომცემლობა „ინტელექტის" და გამომცემლობა „არტანუჯის" ხელმძღვანელის ზვიად კვარაცხელიას ინიციატივით ჩატარდა ქართველი მწერლის დათო ტურაშვილის წიგნის „ხაშურის სევდა" და ქართველი პოეტის, მთარგმნელის გიორგი ლობჟანიძის ავტობიოგრაფიული რომანის „ჩემი ფანჯრებიდან" წარდგინება.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მოსწავლეები, სტუდენტები, დაინტერესებული პირები, ასევე გიორგი ლობჟანიძის წიგნის რედაქტორი, ბატონი როსტომ ჩხეიძე, მისი მასწავლებელი, ქალბატონი ფატი კურტანიძე და თანაკლასელები, რომლებიც ასევე მისი წიგნის პერსონაჟები არიან.

წიგნების წარდგენის შემდეგ, ღონისძიება კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დასმულ შეკითხვებზე ავტორებმა გულახდილად და ამომწურავად უპასუხეს და შეხვედრის ბოლოს ავტოგრაფებიც უხვად დაარიგეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაუგრძნობენ განათლების რესურსცენტრის უფროსს ზვიად გოგუაძეს მამის
ალესანდრე (ალიკა) გოგუაძის
გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ განათლების რესურსცენტრის უფროსს ზვიად გოგუაძეს მამის
ალექსანდერე (ალიკა) გოგუაძის
გარდაცვალების გამო.

გაზეთის - „ხაშურის მოამბე" - რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ განათლების რესურსცენტრის უფროსს ზვიად გოგუაძეს მამის
ალესანდრე (ალიკა) გოგუაძის
გარდაცვალების გამო.

სურამის #3 საჯარო სკოლის პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ განათლების რესურსცენტრის უფროსს ზვიად გოგუაძეს მამის
ალესანდრე (ალიკა) გოგუაძის
გარდაცვალების გამო.

ბროლოსნის საჯარო სკოლის პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ განათლების რესურსცენტრის უფროსს ზვიად გოგუაძეს მამის ალესანდრე (ალიკა) გოგუაძის გარდაცვალების გამო.

D საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია, თავმჯდომარე - ინეზა ელისაშვილი სამძიმარს უცხადებს განათლების რესურსცენტრის უფროსს, ბატონ ზვიად გოგუაძეს, მამის
ალიკა გოგუაძის
გარდაცვალების გამო!

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე.
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.